0313 ფსიქოლოგია PSYCHOLOGY

სტუდენტთა დასაქმების გავლენა მათ აკადემიურ მოსწრებაზე

დავით ზაუტაშვილი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
E-mail: zautashvilidavit21@gmail.com

რეფერატი

საქართველოში 2018 წლის მონაცემებით დასაქმებულია სტუდენტთა 30%, რაც სხვა ევროპულ ქვეყნებთან შედარებით დაბალი მაჩვენებელია. დასაქმებულ სტუდენტთა 63% პროფესიით მუშაობს, 37% კი, შესაბამისად, განსხვავებულ სფეროშია დასაქმებული. აღნიშნული საკითხის შესწავლა საუნივერსიტეტო განათლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია, რადგან იგი დაკავშირებულია სტუდენტთა კეთილდღეობასთან, მათ სწავლის ხარისხთან და მათ მომავალ განვითარებასთან. ნაშრომი ეხება სტუდენტთა დასაქმების გავლენას მათ აკადემიურ მოსწრებაზე. კერძოდ, განხილულია თუ რა გავლენას ახდენს სამსახურებრივი სტრესი და პროფესიული მოტივაცია სტუდენტთა სწავლის ხარისხზე და რამდენად მაღალია პროკრასტინაციის მაჩვენებელი დასაქმებულ სტუდენტებში.

საკვანძო სიტყვები: სტუდენტთა დასაქმება, აკადემიური მოსწრება, პროფესიული მოტივაცია, სამსახურებრივი სტრესი, პროკრასტინაცია, სტუდენტური კვლევა.

შესავალი

თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკურ გარემოში სტუდენტთა დასაქმება სულ უფრო ფართოდ გავრცელებულ მოვლენად იქცა. ბევრი სტუდენტი სწავლასთან ერთად მუშაობს, რაც ერთის მხრივ მათ ფინანსურ დამოუკიდებლობასა და პროფესიულ გამოცდილებას უზრუნველყოფს, თუმცა შესაძლოა გარკვეულ გავლენას ახდენდეს მათ აკადემიურ მოსწრებაზე. ამასთან, დასაქმება დაკავშირებულია ისეთ ფსიქოლოგიურ ფაქტორებთან, როგორიცაა მოტივაცია, სტრესი და პროკრასტინაცია, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სასწავლო პროცესის ეფექტიანობაში. წარმოდგენილი კვლევა მიზნად ისახავს სტუდენტთა დასაქმებასა და მათ აკადემიურ მაჩვენებლებს შორის ურთიერთკავშირის ანალიზს, ასევე დასაქმებულ სტუდენტებში მოტივაციის, სტრესისა და პროკრასტინაციის თავისებურებების გამოვლენას.

ძირითადი ნაწილი

მოცემული სტატიის მიზანს წარმოადგენს გარკვეული ჰიპოთეზების ემპირიული გადამოწმება. კერძოდ, გავიგოთ, ახდენს თუ არა დასაქმება გავლენას სტუდენტის აკადემიურ მაჩვენებელზე, როგორია სამსახურებრივი მოტივაციის, სამსახურებრივი სტრესის და პროკრასტინაციის მაჩვენებელი დასაქმებულ სტუდენტებთან.

კონკრეტული ამოცანებია:

- მოტივაციის, სტრესისა და პროკრასტინაციის ცნებებთან დაკავშირებული თეორიული მიდგომების განხილვა;
- პროფესიული მოტივაციის, სტრესთან გამკლავების სტრატეგიებისა და პროკრასტინაციის შესასწავლი ინსტრუმენტების შერჩევა და გამოყენება;
- სტუდენტის აკადემიურ მოსწრებაზე სამსახურეობრივი სტრესის გავლენის ანალიზი;
- დასაქმების, მოტივაციის, სტრესის და პროკრასტინაციის ცვლადებს შორის სტატისტიკური კავშირების დადგენა.

პროკრასტინაციის ფენომენის თეორიული ანალიზი

პოლ რინგენბახმა 1977 წელს, ტერმინი პროკრასტინაცია სამეცნიერო ლიტერატურაში შემოიტანა, როდესაც მუშაობდა წიგნზე „პროკრასტინაცია ადამიანის ცხოვრებაში“ [9, 152-167]. იმავე წელს A. Ellis-მა და W. J. Naus-მა გამოსცეს წიგნი „პროკრასტინაციის დაძლევა“. შეაგროვა კლინიკური დაკვირვებები პროკრასტინაციის ფენომენზე და ცდილობდა შემეცნებით ახსნას საქმის მოგვიანებით გადადების შესახებ [10, 175]. ექვსი წლის შემდეგ, ჯ. ბურკისა და ლ. იუენის ავტორობით, გამოჩნდა პოპულარული

სამეცნიერო წიგნი "პროკრასტინაცია: რა არის ეს და როგორ გავუმკლავდეთ მას". მათ, როგორც ფსიქოთერაპევტებმა, პრაქტიკულ დაკვირვებებზე დაყრდნობით აღწერეს პროკრასტინაცია, როგორც რთული ფსიქოლოგიური ფენომენი, რომელიც დაფუძნებულია დაბალ თვითშეფასებაზე და წარუმატებლობის შიშზე [11, 336]. კანადელი ფსიქოლოგი P. Steele საუბრობს პროკრასტინაციის, როგორც „ნებაყოფლობით გადადებას დაგეგმილი აქტივობების სუბიექტის მიერ, მიუხედავად გამოწვეული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგებისა“ [14, 65-94]. ამავდროულად, P. Steele ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ პროკრასტინაცია, უმეტეს შემთხვევაში, განიხილება, როგორც ირაციონალური რეაქცია სუბიექტისთვის, მიზეზის არარსებობის მიუხედავად, გადადოს დაგეგმილი საქმიანობა.

აკადემიური პროკრასტინაცია განისაზღვრება, როგორც ქცევითი ტენდენცია, რომელიც მოიცავს მოვალეობების გადადებას, ასევე საგანმანათლებლო საქმიანობაში თვითრეგულირების ნაკლებობას [22, 12-23].

კვლევაზე მუშაობისას შევარჩიეთ ირაციონალური პროკრასტინაციის საკვლევი ტესტი. რისი საშუალებითაც მოხდა პროკრასტინაციის ფენომენის კვლევა, საქართველოს უნივერსიტეტებში სტუდენტების პროკრასტინაციის ზოგადი მაჩვენებლის დადგენა. ეს ტესტი ეფუძნება პროკრასტინატორული შემეცნების ინვენტარს (PCI), რომელიც შეიმუშავეს მიურეი სტეინტონმა და მისმა კოლეგებმა, რათა გაზომონ ადამიანის მიდრეკილება გაჭიანურებისკენ.

პროფესიული მოტივაციის გასაზომად, გამოყენებულ იქნა კ. ზამფირის „პროფესიული მოტივაციის შესწავლის მეთოდიკა“, რომელიც ეფუძნება შიდა და გარე მოტივაციის კონცეფციას. ასევე გამოყენებული იქნა რ. ლაზარუსის სტრესის დაძლევის სტრატეგიები.

კვლევისათვის შედგენილი იქნა საკვლევი ინსტრუმენტების ონლაინ ბმული, გუგლის პლატფორმაზე დამზადებული, რომელიც შედგება რამდენიმე ნაწილისაგან, მათ შორის: დემოგრაფიული ინფორმაციის ნაწილი და სამი სხვადასხვა ინსტრუმენტი: ირაციონალური პროკრასტინაციის საკვლევი ტესტი, სტრესის დაძლევის სტრატეგიები (ლაზარუსის ტესტი) და პროფესიული მოტივაციის შესასწავლი ტესტი.

კვლევის შედეგები და ანალიზი

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები სტატისტიკურ პროგრამათა პაკეტის Spss-ის გამოყენებით დამუშავდა. მონაცემების ანალიზს წარმოვადგენთ კვლევის განხორციელების ეტაპების მიხედვით. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 128 სტუდენტმა. რომელთა შორის არის 108 გოგონა და 20 ვაჟი.

აღნიშნული კვლევა მიზნად ისახავს დაადგინოს თუ რამდენად ახდენს დასაქმება გავლენას სწავლის ხარისხზე. მონაცემები შემდეგნაირად გადანაწილდა: გამოკითხულ სტუდენტთა 39% უმუშევარია, ხოლო 61% დასაქმებული. მონაცემების ამგვარი გადანაწილება კვლევისთვის ხელსაყრელია, რადგან დასაქმების მაღალი მაჩვენებელი, პირდაპირ გავლენას იქონიებს კვლევის ხარისხზე.

კვლევებით ჩანს, რომ სტუდენტების სწავლის ხარისხი, არ არის მათ დასაქმებასთან კორელაციაში ($r=-0,122$; $p>0,01$). შესაბამისად, ჩვენი ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ დასაქმება გავლენას ახდენს სტუდენტის აკადემიურ მაჩვენებელზე, არ დასტურდება. ჩემი აზრით ეს მონაცემები განპირობებულია გამოკითხვაში მონაწილე რესპონდენტთა მცირე რაოდენობით (სულ 128 რესპონდენტი), რეპრეზენტაბელური (დიდ რაოდენობაზე) გამოკვლევის საფუძველზე შესაძლოა შედეგები შეიცვალოს. შესაბამისად, ვფიქრობთ საკითხი საჭიროებს დამატებით კვლევებს.

კვლევებმა ასევე აჩვენა, რომ სტუდენტებში დასაქმება უარყოფით კორელაციაშია შიდა და გარე მოტივაციასთან (იხ. ცხრილი 1). სხვა სიტყვებით, რაც უფრო დიდი დროით არის სტუდენტი დასაქმებული მით უფრო დაბალია მასთან შიდა და გარე მოტივაციის მონაცემები. რის საფუძველზეც ჩვენი ჰიპოთეზა, რომ რაც მეტი დროით არის დასაქმებული სტუდენტი, მისი პროფესიული მოტივაცია მით უფრო მაღალია, არ დასტურდება. რის მიზეზადაც რამდენიმე ფაქტორი შეიძლება გამოვკვეთოთ:

1. გამოკითხული სტუდენტების უმრავლესობა არ მუშაობს პროფესიით და არ გააჩნია კარიერული განვითარების შესაძლებლობა.
2. საქართველოში სტუდენტებს უწევთ დაბალ ანაზღაურებად სამსახურებში მუშაობა, რაც მათ მიერ გაცემულ დროსა და ენერგიასთან არაპროპორციულია. შესაბამისად ის, რაც დასაქმებულ სტუდენტს

მოტივაციას უნდა აძლევდეს, იქნება ეს ცოდნის გაღრმავება, სხვათა დაფასების მოპოვება, სხვებზე უპირატესობის განცდა, ხელფასი, კარიერული წინსვლა და სხვა. დღევანდელი მოცემულობით ნაკლებად გვხვდება, რაც თავისთავად აისახა ჩვენს კვლევაშიც.

ცხრილი 1. კორელაციური მაჩვენებლები დასაქმებასა და მოტივაციას შორის:

	დასაქმება	შიდა მოტივაცია	გარე დადებითი მოტივაცია
დასაქმება	1	-0.374**	-0.243**

კვლევების მიხედვით ასევე გამოიკვეთა, რომ დასაქმებულ სტუდენტებთან პროკრასტინაციის მაჩვენებელი არ არის მაღალი, რაც შეიძლება იმით აიხსნას, რომ დასაქმება ადამიანს უვითარებს ვალდებულებების აღების და შესრულების უნარს, სამსახური თავისთავად პასუხისმგებლობას ნიშნავს, ხოლო პასუხისმგებლობა კი რაც უფრო მაღალია, მით უფრო დაბალია საქმის სამომავლოდ გადადების მაჩვენებელი. შესაბამისად, ჩვენი ჰიპოთეზა, რომ დასაქმებულ სტუდენტებთან პროკრასტინაციის მაჩვენებელი დაბალია, დასტურდება.

რაც შეეხება პასუხისმგებლობის მაღალ მაჩვენებელსა და საქმის მომავლისთვის გადადებას შორის ურთიერთკავშირს, კვლევებმა აჩვენა (იხ. ცხრილი 2), რომ პასუხისმგებლობასა და პროკრასტინაციას შორის არსებობს სტატისტიკური მნიშვნელობის კავშირი, უარყოფითი ნიშნით. მაღალი აკადემიური მაჩვენებლის მქონე სტუდენტებში, პროკრასტინაციის მაჩვენებელი დაბალია.

1. დასაქმება - პროკრასტინაცია
2. პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება - პროკრასტინაცია.

ცხრილი 2. კორელაციური მაჩვენებლები დასაქმებას, პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებას და პროკრასტინაციას შორის:

	დასაქმება	პროკრასტინაცია
დასაქმება	1	0.078
პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება	-0.055	-0.269**

კვლევაში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ასაკის სტუდენტმა. კვლევით დასტურდება, რომ რაც უფრო მაღალია სტუდენტის ასაკი, უფრო მაღალია მისი აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი. რაც შეიძლება იმით აიხსნას, რომ ასაკის მატებასთან ერთად, სტუდენტები უფრო დამოუკიდებელნი ხდებიან, უწევთ კარიერაზე და მომავალზე დაფიქრება, იციან რა მხრივ უნდათ განვითარება, მეტ პატივს სცემენ საკუთარ დროს და მეტად მიზანდასახულნი და პასუხისმგებელნი ხდებიან, შესაბამისად მათი აკადემიური მაჩვენებელიც უფრო სტაბილური და მაღალია, რაც კვლევითაც დასტურდება.

დასკვნა

ჩვენს მიერ ჩატარებული ემპირიული კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე შეიძლება შემდეგი დასკვნების გაკეთება:

- სტუდენტებში, რომლებიც დიდ დროს ატარებენ სამსახურში, დაბალია შიდა და გარე მოტივაციის მაჩვენებლები.
- რაც უფრო მაღალია სტუდენტის ასაკი, მით უფრო დიდია მისი აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი.

- კორელაციურმა ანალიზმა უჩვენა, რომ დასაქმება არ ახდენს გავლენას სტუდენტის აკადემიურ მაჩვენებელზე.
- ასევე გამოიკვეთა, რომ დასაქმებულ სტუდენტებთან პროკრასტინაციის მაჩვენებელი დაბალია.
- ის სტუდენტები, რომლებიც დაოჯახებულნი არიან, გამოირჩევიან მაღალი პასუხისმგებლობის მაჩვენებლით.
- მაღალი პასუხისმგებლობის მქონე სტუდენტებში მაღალია დისტანცირების, კონფრონტაციის, თვითკონტროლის, სოციალური მხარდაჭერის ძიების მაჩვენებლები.

ლიტერატურა

1. ნინო ფარესაშვილი, გიული ქეშელაშვილი (2010) - ორგანიზაციული ქცევა. თბილისი: უნივერსალი.
2. ფილიპ ზიმბარდო, რიჩარდ გერიგი (2009) - „ცხოვრება და ფსიქოლოგია“ Philip Zimbardo, Richard Gerrig (2009) "Psychology and life".
3. მაიკლ გელდერი, პოლ ჰარისონი, ფილიპ ქოუენი (2012) - ,,ოქსფორდის მოკლე სახელმძღვანელო ფსიქიატრიაში“ Michael Gelder, Paul Harrison, Philip Cowen "Shorter Oxford Textbook of Psychiatry".
4. იმედაძე ი. (2008) - „ფსიქოლოგიის საფუძვლები“.
5. მარინა ბალიაშვილი - „პიროვნების ფსიქოლოგიის საფუძვლები“ (თბილისი 2012).
6. მ. ბალიაშვილი - პიროვნების ფსიქოლოგიის საფუძვლები, გამომცემლობა ,,უნივერსალი'', თბილისი 2014.
7. Brown, L. V. (2007). Psychology of Motivation. Nova Publishers.
8. Haque, M. F. (2014). Motivational theories - A Critical Analysis. ASA University Review.
9. Ellis A., Knaus W.J. Overcoming procrastination. New York: New American Library. Institute for Rational Living, 1977. P.
10. Ellis, A., Knaus, W. J. Overcoming procrastination / A. Ellis, W. J. Knaus. – New York: Signet Books, 1977.

The Effect of Student Employment on Academic Achievement

Davit Zautashvili

Abstract

According to 2018 data, 30% of students in Georgia are employed, which represents a comparatively low rate relative to other European countries. Among employed students, 63% work within their field of study, whereas 37% are engaged in employment outside their academic specialization. The examination of this issue constitutes one of the most significant areas of inquiry within higher education research, as it is closely associated with students' well-being, the quality of their academic engagement, and their long-term professional development. This paper examines the impact of student employment on their academic performance. Specifically, it discusses how job-related stress and professional motivation influence the quality of students' learning and explores the level of procrastination among employed students.

Keywords: Student employment, academic performance, professional motivation, occupational stress, procrastination, student research.